№ 156. 23 ივლისი, ოთხშაბათი. 1866—1880 23 ივლისი, ოთხშაბათი № 156

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რუსთაველის პროსპექტზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 21 ივლისს. გლადსტონი უცრად მალიან ავათ გახდა; ანთება მოუვიდა ფილტვებისა და აციებს.

**სოფ. სპასკოე** (რიაზანის გუბ.), 21 ივლისს. ფილიპოპოლთან მოკლულის სკობელევის დედის გვამი რანენბურგის სტანციიდამ სოფ. სპასკოემდინ გლეხებმა ხელით გაასვენეს და ამ სოფლის სასაფლაოზედ დამარხეს ქმრის საფლავის გვერდით.

**პეტერბურღის ბირჟა**, 21 ივლისს

(„ხალხთა-შორისი ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 93 | 75 |
| მეორისი | 92 | „ |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 | „ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 7 | 87 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 223 | 50 |
| მეორე სესხის | 222 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 49 | პენსი |
| გამბურღი | 212 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 263 | 25 | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

ტფილისი, 22 ივლისს.

იმ შენიშნვების თაობაზედ, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი, რომ ღარიბად ჩაცმულ ხალხს ალექსანდროვის ბაღში არ უშვებს პოლიციაო, დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ახირებული პასუხი თფილისის პოლიცმეისტრისა:

„სასტიკი გამოძიებამ მოგვახდინეთ და არ დამტკიცდა, რომ ვითომც პოლიციის მოხელეს არ გაეშვას ბაღზე ჯუკიაში მიმავალი ვიღაც დედა-კაცი.

„მართალია, პოლიციელები არ უშვებენ ბაღში მათხოვრებს და ჯიბგირებს, რომელთაც პირადათ იცნობს პოლიცია, პირველათ იმიტომ, რომ ბაღში მოწყალებას თითქოსა და მერრევეს იმიტომ, რომ მოსიარულე ხალხს ხელსახოცებს და ფულიან პორტმანეებს აცლიან ჯიბიდამ, რომელზედაც პოლიციას არა-ერთხელ მოსვლია საჩივარი.

„ამ ნაირად პოლიცია საზოგადოების შესავიწროებლად კი არ მოქმედებს, არამედ იმის დაცვისათვის მთვრალებისა, მოხოვრებისა და ჯიბგირებისაგან, რომელნიც ამ აღკრძალვამდინ ბევრი დასეტიალობდნენ ბაღში და ურიგოთ ეჭირათ თავი.“

ჯერ ერთი ეს, რომ ჯიბგირებზე და მთხოვრებზე ჩვენ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს; მეორე გასაკვირველია, თუ კი სხვაგან უშვებთ მათხოვრებს, თუ კი გალავინის პროსპექტზე, მაგალითად, აქვსთ იმათ მათხოვრობის უფლება, რატომ ბაღში არა აქვსთ?

მაგრამ ამაზე უფრო გასაკვირველი კიდევ ის სიტყვებია ბ. თფ. პოლიციმეისტრისა, რომ ბაღში შესვლა იმ ჯიბგირებსა აქვსთ აღკრძალული, რომელთაც პოლიცია პირადათ იცნობსო. თუ კი პირადათ იცნობთ, რატომ არ იჭერთ და სამართალს არ აძლევთ ხელში? ბაღში მოსიარულე ხალხი რომ არა ჰყავდეთ ამათ, განა სხვა ხალხი აღარ დარჩენიათ საცვერპლათა?

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ ამ შემთხვევაში სრულებით ჯიბგირები და მათხოვრები არა გვყოლია მხედველობაში; ჩვენ მხოლოთ ღარიბად ჩაცმულ ხალხზე ვამბობდით, იმ ხალხზე, რომელთაც ჩუსტები და ჩოხები აცვიათ.

აი ამათ აქვსთ ბაღში სიარულს და ეს ვერ გაგვიგია, ვერ შევიტყვია — რომელის კანონით, რა საფუძვლით.

გარდა სხვა ჩვენს შენიშნვებზედაც მიეცა ბ. პოლიციმეისტერს პასუხი; მაგალითად იმაზე, თუ რა საფუძვლით არ უშვებენ ურმებს გალავინის პროსპექტზე და ბარათინსკის ქუჩაზე? რატომ ქვევითა ხალხსაც კი უშლიან ღამ-ღამობით ამ ზემოხსენებულ ქუჩაზე სიარულს? რატომ სალდათებსა აქვს მტკვარში ბანაობის უფლება და ჩოხიანებს კი არა? და სხვ. მაგრამ, თუ ყველა ამ საგნებზედაც იმისთანა პასუხი იქნებოდა, როგორც ზემომოყვანილ გარემოებაზე, ისევ გაჩუმება სჯობიან...

### ახალი ამბები

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველობა აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის საზემო ინსტიტუტში შესასვლელი ეგზამენიები ამ მომავალ აგვისტოს თვის დამლევს დაიწყებაო.

ვისაც ინსტიტუტის უმაღლესს კურსში შესვლა ჰსურს და საქალაქო ბებიის დიპლომისა და სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლება, იმათ ეგზემენიაზე მოეთხოვება: რუსულის ენიდამ — მართლ-წერა და კითხვა, სიტყვიერად და წერით გარდაცემა

## ფელტონი

### მოხევეები და იმათი ცხოვრება

ჩვენის ქვეყნის ყოველ მაზრიდგან მოდის ხმები და იბეჭდება გაზეთებში; ყოველი მაზრა ერევა ჩვენს საერთო ცხოვრებაში და გვატყობინებს თავის ბედ-იღბალს და საჭიროებას.

ამ საერთო ცხოვრების გარმონიას მოკლებულია მარტო ერთი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, რომელსაცა ჰქვიან „ხევი.“ მართლათაც, ყველა კუნჭულიდგან კორრესპონდენცია კორრესპონდენციაზედ მოდის, სტატია სტატიაზედ იბეჭდება, „ხევზედ“ კი ორიოდე სტრიქონს თუ სადმე შეხვდები დაწერილს, თორემ ვის რათ მიაჩნია ხევი? ვინ იცნობს იმათ, ან ვისთვის არიან საინტერესო, რომ ძალიან თავი შეიწუხონ იმათთვის?! იქამდისინ არ ვიცნობთ „ხევში“ მცხოვრებს ხალხს და იმათ მდგომარეობას, რომ მომეტებულს წილს მკითხველ საზოგადოებას „ხევი“ საოსეთო ჰგონია და შიგ მცხოვრებნი კი ოსები.

სწორეთ საკვირველია ესეთი უმეცრება ჩვენი მოხევეების შესახებ, რომელნიც წმინდა ქართველნი არიან და არც ერთი სხვა ენა არ იციან, გარდა ქართულისა, თუმცა სხვა ტომის ხალხი თითქმის გარსა ჰყავთ შემორტყმული.

ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ხევი თავის მდებარეობით იმყოფება იმისთანა ადგილს, სადაც სოფლებს ზედ შუაზედ გაუვლის დიდი სახელმწიფო გზა, რომელიც აერთებს ჩვენს ქვეყანას მთელს რუსეთთანდა მაშასადამე ძნელად დარჩება ისეთი წერა-კითხვის მცოდნე კაცი, რომელსაც, ერთხელაც არის, არ გაევლოს იმ ადგილებზედ. მაგრამ ყველას იღბალი უნდა! — კიდეც გაუვლიათ, კიდეც გამოუვლიათ, ბევრჯელაც გადაუყვან-გადმოუყვანიათ მოხევეებს, გაჭირებულს ზამთარში სხვადა-სხვა მოგზაურები მთაზედ, მაგრამ იმათ ჩქარა დავიწყებიათ ამათი სამსახური და მთებზედ იმათგან შევლა.

შენ, მკითხველო, იქნება „ხევი“ ედემი გეგონოს და შიგ მცხოვრებნი კი ანგელოზები, რომლებისთვინაც ღმერთს დიდი ხანია, რაც ყველაფერი გაუწყვია და იმდენად უზრუნავია, რომ ჩვენი ზრუნვა აღარ ეჭირებოდესთ?..

რა რიგათ შემცდარი იქნება, ვინც ასე იფიქრებს! არ არის ჩვენში ისეთი მაზრა, არ არის ისეთი ადგილი, ისეთი კუნჭული, თითონ მიყრუებულს ადგილებშიაც, რომელსაც იმდენი გაჭირება ადგეს, რამდენიც ადგას მოხევეებს.

ისინი შეწუხებულნი ცივის ბუნებისაგან, გატანჯულნი გაგრძელებულის ზამთრისაგან, პურის ნაკლულობის გამო, დატანჯულნი უშეშობით, კიდევ ისეთ სწყალებას იტანენ ხალხისაგან, რომ ღმერთმა მტერიც კი დაიფაროს!

მამასახლისის, სუდიების, მღვდელ-ბლაღოჩინების, და განსაკუთრებით ჩაფარ-ურიადნიკის ბოროტ-მოქმედება გადასცდა ყველა სამზღვარს. ამათი უსვინიდისო და უსამართლო ქცევა იქამდინ მივიდა, რომ თავიანთ ავაზაკობას და ბოროტ-მოქმედებას აღარც კი მალვენ და აშკარათ, საქვეყნოთ-დუქნებში დროს გასატარებელ მუსაიფად აქვსთ გამხდარი. მაგალითად: მამასახლისი ქრთამს იღებს; ხომ აღარა მალავს თავის მოქმედებას? არამც თუ არა მალავს, საქვეყნოთ გამოდის დუქანში და უსირცხვილოდ ლაპარაკობს თავის ბოროტ-მოქმედებაზედ! ჩაფრებს მათრახით ტყავი ვისმესთვის აუძვრიათ, ისინიც ნამუსზედ ხელ-აღებულნი, ხარხარით კვეხულობენ — თუ როგორ — როგორი მათრახი გადაჰკრა თავის მოძმეს!

აღარც შიშია ამათში, აღარც ნამუსი, აღარც კაცობრიობა!.. სცარცვენ, სცემენ, აწვალებენ ბრალიან-უბრალოთ, ისეც წვალებულს მოხევე კაცს და ვინ არის ხმის გამცემი?!. თქვენ შეგიძლიანთ სულამდინ ხელი ჩაავლოთ, ტყავი გააძროთ მოხევეს, და დარწმუნებული დარჩეთ, რომ თქვენზედ საჩივარს ჯერ მთაზედ გად-

წაკითხულისა, არითმეტიკიდამ—პირველი ოთხი არითმეტიკული მოქმედება, სახელობითი რიცხვებისა და ნაწილების ცოდნა; სამღვთო წერილიდამ—უმთავრეს ლოცვების ცოდნა და ლათინურის ენიდამ—კითხვის ცოდნა.

ვისაც მდაბალ კურსში შესვლა ჰსურს, რომლიდამაც აძლევენ სოფლის ბების დიპლომსა და სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებას, იმათ ეგზამენიაზე მოეთხოებათ მხოლოთ რუსული წერა-კითხვის ცოდნა და წაკითხულის სიტყვიერად გარდაცემა.

საბებიო ინსტიტუტში მიიღებენ ქალებს არა ნაკლებ 16 წლისას და არა—უმეტეს 30 წლისას.

თხოვნა უნდა შეიტანონ საექიმო სამოქალაქო უწყების გამგეობაში (საპიორის ქუჩაში, თ. რ. ანდრონიკოვის მემკვიდრეების სახლში); თხოვნასთან უნდა იქმნეს წარდგენილი მეტრიკული მოწმობა და მშობლებისა ანუ, ვისაც ქმარი ჰყავს, ქმრის მოწმობა, რომ ისინი თანხმანი არიან ქალის ინსტიტუტში შესვლაზედ.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩვენის ქალაქის ზოგიერთი ყასბები, რაც ტაქცია გამოსცვალეს და ხორცს ფასი დაუკლეს, მას შემდეგ ხეირიან ხორცს არ აჩენენ, შიგნით მალავენო და თუ თავიანთი საკბილო ვინმე ნახეს, რომელიც ტაქციაზე მომეტებულს მისცემს, მხოლოთ მაშინ გამოაჩენენო.

* * *

ჩვენ გვიამბეს შემდეგი შემთხვევა, რომლებიც ჩვენი ბაყლების ხასიათს გვიხატავს:

ამ დღეებში ერთ ვიღაც დურგალს გაჰრილი საზამთრო ეყიდნა საღამოს ერთ ბაყალთან და შინ წაეღო. რო გაეჭრა, ენახა, რომ საზამთრო გარედამ, საცა გაჰრილი იყო, კარგი წითელი ფერისაა და შიგნით კი თეთრი. იმ ღამეს შეენახა ეს საზამთრო და მეორე დღეს ბაყალთან წაეღო და ეთქვა—როგორ არა გცხვენიათ, შელებილ საზამთროს ჰყიდით, ხოშეიძლება მოწამლოთ ხალხიო და სხვ. ბაყალს, როგორც ჩვენებურ კინტოებისა და ბაყლის ამბავი მოგეხსენებათ, ლანძღვა დაეწყო დურგლისათვის. ამასაც ველარ მოუთმენია და პოლიციაში ეჩივლა. პოლიციამ აქტი შეადგინა სასამართლოში გარდასაცემათო,—მაგრამ გამოვა აქედამ რამე, თუ არა ამის კი რა მოგახსენოთ, ამბობს ჩვენი კორრესპოდენტი...

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა ბატ. გ. ზალიკანოვისაგან:

„თფილისიდამ ჩვიდმეტი ვერსის მოშორებით არის მონასტერი სახელათ „ბეთანიისა". როგორც ისტორიკოსები გვარწმუნებენ, ეს მონასტერი მეცამეტე საუკუნეშია დასრულებული; შენობა კი თამარ-მეფის დროს დაუწყვიათ მეთორმეტე საუკუნეში. ის ყოფილა ორბელიანთ სავანეთა.

„მონასტერი აშენებულია ყვითელის ჩუქურთმის ქვითა, ვიზანტის არხიტექტურაზე. ამ ჟამად ის უპატრონობისაგან აოხრებულა და შიგაც გაფუჭებულა; გუმბეთიდამ ჩამონგრეულია. შიგ აუვარებელი სასაფლაოებია.

„მარცხენა მხარეს არის სურათი თამარ-დედოფლისა, დავით სოსლანისა, ქმრისა თამარ-დედოფლისა, და ლაშა გიორგისა-ძისა თამარ-მეფისა. მარჯვენა მხარეს არის სურათი ერთი ვიღაც ორბელიანისა, რომელსაც ეკლესია ხელში უკავია. ამ ეკლესიის ხატი ღვთის-მშობლისა ქვაშვეთის ეკკლესიაში ინახება.

„ამ მონასტრის თამარ-მეფის სურათს უძღვნის თ. გრიგორ ორბელიანი თავის მშვენიერ ლექსს „თამარ-მეფის სახეს ბეთანიის ეკკლესიაში."

„კარგი იქნება, რომ ბეთანიის მონასტერს ყურადღება მიაქციოს ჩვენმა არხეოლოგიურმა საზოგადოებამ, რადგანაც ჯერაც მთელი და დაურღვეველია."

* * *

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი პროკლე დიოდოხის ფილოსოფია, რომელიც დაწერილია მეთვრამეტე საუკუნეში 1744 წ. ეს ფილოსოფია უთარგმნია საქართველოს სამეფო სარდალს იოვანე ორბელიანს ერთის მაშინდელ აქაურის სომხის არხიმანდრიტის შეწეობით.

ამბობენ, რომ ეს წიგნი მეთორმეტე საუკუნეში ქართველ ფილოსოფოსის იოანე პეტრიწემ სთარგმნა და შემდეგ ამისა ქართულიდამ სომხურათ უთარგმნიათ; ბოლოს ქართულს ენაზე დაკარგულა და ხელმეორეთ მიუყვიათ ხელი და სომხურიდამ ქართულათ უთარგმნიათ.

## „დროების" კორრესპონდენცია

ფოთი, 20 ივლისს. ხშირათ იკარგება ფოთში ცხენები და სხვა პირუტყვი. ეს ორი წელიწადია, ეს ბატონი ქურდები შემოგვეჩვივნენ და თუ კი სადმე კარგი ცხენი, ძროხა, ხარი ანუ კამბეჩი ნახეს, პატრონმა უნდა იცოდეს, რომ რამდენიმე დღეში აღარ ეყოლება, მოჰპარავენ.

ამას ჯანი გავარდეს, ეხლა დუქნების მტვრეველი ქურდებიც გაჩნდნენ: წუხელის გასტეხეს აქაური მდიდარი ურიის მიხაილაშვილის მანუფაქტურის მაღაზია. ქურდი სახურავიდამ ჩაბძანებულა: მაღაზიის ლამფა [illegible] ცარი აუგლეჯია და [illegible] ბულა მაღაზიაში. მაგრამ ძალიანი სინდისიანი ქურდი ყოფილა: მაღაზია სავსე ყოფილა 40,000 მანეთის საქონლით, აბრეშუმეულით და სხვით ახლილს ყუთში, გარდა ფულისა, ძვირფასი ვერცხლეული ყოფილა, მაგრამ ხელი არაფრისთვის უხლია თვინიერ ფულისა! წაუღია 9 ლირა თათრის ოქრო, 4 პოლუ-იმპერიალი და რაც ყოფილა 230 მანეთი ქაღალდის ფული. ეტყობა გარეული ქურდი არ უნდა იყოს, უფრო შინაურის მოქმედებას ემგზავსება. ამ საქმეს გულმხურვალეთ მოჰკიდეს ხელი, იქნება იპოვნონ ეს ბატონი. გარდა ამისა პარკის (ბაღის) გარეშემო, პალიასტომის მხარეს და რკინის გზისა, რიონის პირათ, გავლა არ შეუძლიან კაცს: საძაგელი სუნი დგას, საითაც მიიხედავ მკვდარი, აყროლებული ხარები, ძროხები და ბატები ჰყრია. ურიგო არ იქნება, რომ დაიმარხოს მიწაში. თორემ ამისაგან კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ ამ ზაფხულში...

გ. ბ.

სოფ. ბაკურციხე, (სიღნაღის მაზრაში) 19 ივლისს. ეს უბედურნი გლეხნი იყვნენ მთლათ იმედ გადაწყვეტილნი ამ მშვენიერ გაზაფხულის მოსავალზედ. ძველა გლეხნი, იდგნენ თუ იწვნენ, სულ იმას ევედრებოდნენ ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ გამოემეტნა ნამი და მით მუქთად არ ჩაევლო იმათ ჯაფას და ოფლს, რომელსაც ღვრიდნენ შავ-მიწის ბელტოებზედ.

აუსრულდათ თხოვნა 11-ს ამ თვეს საღამოს, რვა საათზედ მოვიდა საშინელი დიდი წვიმა და მით გამაიყვანა ყველა, მდიდარი და ღარიბი, იმ გაჭირებულ ცხოვრებიდან, რომელსაც

---

მოცილება გაუჭირდება და თუ რომლისამე მანქანებით მთას გადმოსცდა, მაშინ არის კიდევ ერთი ძნელად გასავლელი ადგილი, რომელსაც ველარ გასცდება და რომელზედაც მემრე მოვილაპარაკებთ. ძოველი კაცი გარდაუხდევინებლად რასაც უნდა, იმას უზამს და როგორც უნდა ისე აწვალებს მოხევეს და, თუ ვინიცობაა არ უწვალებია, ამის მიზეზი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოხევე დაფარული იყოს უსამართლოს წვალებისაგან, არამედ ის კაცი, ვისაც საქმე ჰქონია მოხევესთან თითონ კეთილი კაცი ყოფილა და თავის ღმერთისთვის შეუხედავს. მაგრამ ბევრნი არიან მაგისთანა კაცები?.. სიტყვით დიახ ბევრნი გახლავან, მაგრამ საქმით კი რა მოგახსენოთ:

ვინ აწვალებს მოხევეს?... აწვალებს იმას ვაჭარი, რომლისთვისაც ქირას ეზიდება; აწვალებს მამასახლისი, რომელსაც ხელში უჭირავს იმისი სული; აწვალებს ურიადნიკი, თავისის ჩაფრებით. რომელთაც ხელთ უპყრიათ გლეხების ტყავ-გასაძრობათ ჩერქეზული მათრახები; აწვალებენ ყაზაგები, რომლებიც სიმშვიდისათვის ს. ლარსში, დარიელას და სხვა ადგილებში არიან დაყენებულნი და თითონ კი ყველაზედ მეტათ რევენ ყველაფერს; აწვალებენ ქისტები, რომლებიც თავიანთის ქურდობით იქაურობას იკლებენ და თავიანთის ძმობილობის გამო სხვა და სხვა პირებთან, გადაუხდევინებლათა რჩებიან; აწვალებენ ჩეჩენში მემამულე ყაზახები, სადაც ცხვარი დაუდის მოხევეს საკვებავათ; აწვალებენ მიმავალ-მომავალი სალდათები, რომლებსაც ოცობით და ოც-და-ათობით სახლებში ცოლ-შვილობაში უყენებენ მოხევებს; აწვალებენ ინჟინერები, რომელნიც ბეგარაზედ გარეკის დროს სამუშაო ფულსაც აღარ აძლევენ; აწვალებენ მღვდლები და ბლაღოჩინები თავიანთის.....

მაგრამ ვინ შესძლებს ყველას ჩამოთვლას, ვინც კი „მოხევეს" აწვალებს? იმათ წვალებისა და მწუხარების რომ შეუდგეთ, აღწერას მთელი ტომებიც გაიმაებოდა და მაინც კიდევ ცოტა იქნებოდა ნათქვამი იმათ მდგომარეობაზედ.

სამწუხაროთ, გაზეთის სივრცე და კიდევ სხვა და სხვა მოაზრება ნებას არ გვაძლევს მოხევეების ცხოვრებას დამდგომარეობას ისე შევეხო, როგორც ჩვენ თითონა გვსურდა. მაგრამ რაც უნდა გვიშლიდეს, ვეცდები მოკლეთ მაინც არის აგიწეროთ. სამი ათასამდინ წამებული ხალხის მდგომარეობა და რამდენათაც შემეძლება, ნათლათ დაგანახოთ იმათი გაჭირება.

ძოველი ჩემგან ამ წერილებში ნათქვამი სიტყვა არის ჭეშმარიტება, რომლის დამტკიცებაც ფაქტებით შემიძლიან ყოველთვის, უკეთუ საჭიროება მოითხოვს....

ვისაც კი გაუვლია, ან გამოუვლია მოხევეებზედ, უეჭველათ შეუმჩნევია ის უნაყოფო, გახრეკილი მთები, რომლებიც იქ უზარ-მაზრათ აყუდებულან და თითქმის იკარგებიან ცის სივრცეში. მომეტებული წილი ამ ადგილებისა, როდესღაც დაფარული მშვენიერის ხეებით, საკმაო შემწეობას აძლევდა მოხევეებს ცხოვრებაში; მაგრამ გაჩანაგებული ხალხის უზომო ჭრითა და სტრატეგიულის აზრით გაჩეხილი ეხლა სრულებით ამოწყვეტილია და მშვენიერის დაბურვილის ტყის მაგივრათ დარჩენილა გატიტვლებული მთები. წვიმასა და ავდარს ჩამოურეცხამს მიწაც და დარჩენილა უმნოთ აყუდებული სიპი კლდეები, რომელსაც ჰფულრავს ქარიშხალი და ავდარი, ინგრევა და აუარებელის ლოდებით ჰფენს იმ დარჩენილ ველებსა რის ყოფით შერჩენიათ ბალახი და ავილებს, რომლებშიაც გადარჩენილან იქაურს ხშირს ნიაღვრებს.

ვინც კი შეხედავს ამ ადგილებს მაშინათვე შეამჩნევს, რომ იქ მიწა არ უნდა იყვეს მდიდარი სხვა და სხვა მცენარეებით და შიგ მცხოვრებნი კი მარტო ხვნა-თესვას ვერ მიჰყვებიან; მაშასადამე უნდა სხვა რომელიმე საშუალება გამონახონ თავის დასარჩენათ. სხვათა შორის, ერთი საშუალებათაგანი არის ქირაზედ სიარული ვლადიკავკასსა და თფილისს შუა.

რასაკვირველია, ეს სამუშაო, როგორც ცხოვრებისათვის საშუალება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელოდა სასო წარკვეთილი გლეხი.

ახლა ამ სასო-წარკვეთილ გლეხს ალჩუზე უზის კოჭი? შემოდგომის მოსავალი მოუვიდათ უხვით, ეს გაზაფხულის მოსავალიც მომატებული. ახლა რაღა უჭირსთ! იმედია, შარშანდელ მოუსავლობის ზარალს აინაზღაურებენ წელსა.

ამ ყოველიფერ იღბალთან ერთი მომეტებული იღბალიც მოუვიდათ ამ სიღნაღის უეზდელებს. ღმერთმა აღლევრძელოს თფილისის გუბერნატორი უეზდის უფროსის ახალ თანაშემწის თ. ლ. ჯანდიერის დანიშვნისათვის. გაგონილი ჰქონდათ ქება მისი და მართლათ ისე ყოფილა? ამ რამდენიმე კვირის მოსვლით ისე შეიძინა საზოგადოება თავის კეთილ საქმეებით, რომ ყველა დიდი სიამოვნებით შეუსრულებს მისგნით მოთხოვნილ ყველა საქმეს. ამის მოქმედება არის ყველა მხრით სვინიდისიანი და კანონიერი. მხლა კი იმედი აქვთ გლეხთ, რომ გამოუსხლტებიან ხელიდამ იმ ჩინოვნიკებს, რომელნიც უღებდნენ შარებს ქვიშაზედ ანუ ბეგარაზედ....

13 ივლისს ჩვენს სოფელში იყო საზოგადო ვეჩერი. დასწრების მსურველთ უნდა შეეტანათ ორ-ორი მანეთი სულზედ. მოთავენი თ. თ. სოსო და ივანე რევაზის-ძე ვაჩნაძენი იყვნენ მადლობის ღირსნი. სახლი, რომელშიაც ჰქონდათ დანიშნული ვეჩერი, იყო მშვენიერათ მომზადებული: წინ დიდი მეიდანი, რომელიც მაგონებდა ქალაქის ზაფხულის კლუბის როტონდას, იყო შეზავებული სხვა და სხვა გაჩაღებულ ფარნებით. ცხრა საათზედ შეიყვანეს მთელი მოწვეულნი სტუმრები და დაიწყეს დროების გატარება. ამ სახლის ზალაში და მეიდანზედ გაიყვნენ რამდენიმე პარტიათ, ვისაც რა ესიამოვნებოდა, ისე ატარებდნენ დროს, ზოგნი ტანციობდნენ, ზოგნი ლეკურს თამაშობდნენ და ზოგნი მშვენიერ ხმით მღეროდნენ ქართულ სიმღერეებს. ამ ნაირი დროს-გატარება გავცელდა დილის საათის სამამდინ და სამ საათზედ შეუდგნენ ვახშამს. შემდეგ ექვს საათზედ დაიშალნენ. ამ ნაირი დროს-გატარება დაახსოვნდებათ ყველას მყოფს ნამეტნავათ იმ პირთ, რომელნიც არიან მოსულები ზაფხულობით სხვა მაზრებიდან.

იმედი გვაქვს, რომ ეს უკანასკნელი არ იქნება ამ გვარი დროს-გატარება ჩვენს სოფელში.

მყოფი.

## წერილი რედაქტორთან

—

ბ. რედაქტორო! ნეტავი თქვენა, რომ განათლებულნი ხართ და სცხოვრობთ კიდეცა ქვეყანაზედ. ჩვენ საწყლებმა გლეხებმა რაღა დავაშავეთ, რომ წერა-კითხვასაც არ გვასწავლით. ნეტავი თქვენი დღეგრძელობით წერა-კითხვა ვიცოდეთ, რომ ან გაზეთს მივუგდოთ ყური ან ჟურნალსა. ვყრიერთ ისე დათვებსავით უცოდინარნი. ამბობენ, გაზეთებში ყველაფერი ქვეყნიერობის ამბავი სწერიაო: ან პური სად უფრო იაფად არისო, ან ფეტვსიმინდიო, ან გრუბერნატორათ ვინ დანიშნეს ჩვენთვისაო, ან ბევრი სხვა რამეო. თქვენმა მზემ, ბატონებო, ზოგიერთნი ჩვენთაგანნი ისე დაიბადებიან და ისე დაიხოცებიან, რომ თავის მაზრის უფროსის სახელს ვერ გაიგონებენ ხოლმე. აბა წერა-კითხვა რომ ვიცოდეთ, ხომ ეს არ დაგვემართებოდა. ჭკუა და გონება ბნელათა გვაქვს; ეხლა მე და ჩემს მურა ხარს თითქმის განსხვავება არა გვაქვს ცხოვრებაში; მართალია, ჩვენ გლეხნი გახლავართ, მაგრამ განა პირუტყვთან განსხვავება არ უნდა გვქონდეს...

თუ ჩვენ არა გეშველება-რა, ჩვენ გოგო-ბიჭებს მაინც უშველეთ რამე. ერთი თქვენ დღეგრძელობისათვის ჩვენ ბაკურციხეშიაც გაგვიხსენით პატარა სასწავლებელი და გამოგვიყვანეთ ქვეყანაში. ჩვენ ყური მოვჰკარით, რომ მითომ რაღაცა დასი შედგაო წერა-კითხვის გამავრცელებელი; ისიც გავიგონეთ, რომ ძალიან თურმე მადლსა სჩადის ეს დასი. ნეტა სად არის, რომ გვიშველოს რამე და ჩვენი საცოდავი ბნელი ბაკურციხე გააბედნიეროს ერთი პაწაწა შკოლითა. ან ჩვენ მამასახლისს მოსწეროს რამე, ან ჩვენ მღვდელსა, ან თუ არა ეხლა ჩვენ კეთილ-სინიდისიანი მაზრის უფროსის თანაშემწე გვყავს, ლევან ჯანდიერს რომ მოგახსენებენ, და ამას რომ მოსწეროს რამე იმდასმა, უთუოდ გვეშველება რამე.

ერთიცა მაქვს მოსახსენებელი; მაგრამ რადგნაც ბრიყვი კაცი გახლავართ და გაუნათლებელი, არ ვიცი ვის მივმართო. მაინც-და-მაინც ისევ ბეჭედი აღლევრძელოს ღმერთმა!

ჩვენ მეზობლად სოფ. ქარდენახში ერთი წელიწადია რაც შემნახველ-დამზოგველი ამხანაგობა დაარსდა და საქმეც კარგათ მიჰყავნდათ, მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტა არეულობა მოჰხდა. ამ ამხანაგობამ მოისურვა ქალაქში თავად-აზნაურობის ბანკიდამ 150 თუმნის სესხვა. ამაზედ ბანკმა მოიწერა თავდებათ მარტო ერთი კაცი უნდა გყავნდეთო. ჩვენმა ამხანაგობამ რომ ეს შეიტყო, ყალყზედ შედგა: როგორ თუ მთელს ამხანაგობას არ გვენდობიანო და კერძო კაცს გვთხოვენ თავდებათაო!

ბატონო, მართლა და ჩემისთანა გაუნათლებელ გლეხსა თუ ყველაფერი კარგათ არ აუხსენით, ვერას გაიგებს. ერთი აგვიხსენით—რა მიზეზია, რომ მარტო ერთს კაცსა გვთხოვენ თავდებათა? *).

ბაკურციხელი გლეხი.

*) იმედია, ამ საგანზე თვითონ სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა მისცემს პასუხს ავტორს.

რედ.

# რუსეთი

—

პეტერბურღის გაზეთების სიტყვით, მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ **სააშეკო მმართვის** შესახები წესდება შეცვალოს. ამ მიზნისთვის ფინანსთ სამინისტროში დანიშნული იქნება საგანგებო კომმისია შინაგან საქმეთა სამინისტროს და მ. ი. დ. საკუთარ კანცელარიის მეორე განყოფილების წარმომადგენელთაგან.

—

**რუსს კურიერში** ვჰკითხულობთ: „სკობელევის ცოლის მკვლელი უზატისი სამწუხაროდ ნამდვილი რუსი გამოდგა...“

საქმე ის არის, რომ ამდენ ხანს თითქმის ყველა გაზეთები უარ-ჰყოფდენ უზატისის რუსობას: ზოგი ბერძნობას სწამებდა, ზოგი ელახობას და სხვ. მათის აზრით რუსი როგორ მისცემდა თავის-თავს იმდენ ნებას რომ სკობელევის ცოლი მოეკლა...

—

რუსული გაზეთები ერთ-ხმად ამბობენ, რომ წრეულს რუსეთში ცუდი მოსავალი იქნებაო.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** პოლიტიკურს კორრესპონდენციაში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული წერილი, რომლის ავტორის სიტყვით იქ დაბალი ხალხი უფრო მოსურნეა მშვიდობი-

---

მოხევეებისათვის დიდი ღვთის წყალობა არის; მაგრამ რომ იცოდეთ რამდენი ხათაბალა მოსდევს ამ შრომას, გამტერებული დარჩებოდით, თუ როგორღა დადიან მოხევეები ქირაზედ და ენერგია დაკარგულნი ყველაფერს თავს არ ანებებენ და არ გადაიკარგებიან სადმე?!

ჯერ მოქირავე უნდა ელიჯინოს მამასახლისს, რომ იმან მოილოს მოწყალეობა და მისცეს ბილეთის ასაღები მოწმობა; რასაკვირველია, მამასახლისი თავს იზვიადებს და კარგა ხანს ისვეწიებს გლეხს, მაშ რის მამასახლისი იქნება, თუ ისე არ მოიქცა და გლეხს არ აგრძნობინა, რომ ამის სული იმის ხელშია? ბოლოს როცა იქნება მამასახლისის გული შეჯერებული ბეჭდის და ქაღალდის ფულით *), როდესაც მაგარიჩი ჩამოისხმის დუქანში, ძლივს-ღა ეღირსება საცოდავ მოქირავეს მოწმობის მიღება. ამ მოწმობით ის უნდა წავიდეს პრისტავთან, რომელიც ორმოც-და-თხუთმეტს ვერსზედა დგას ხევიდგან, და იმისაგან აიღოს ბილეთი. ხანდისხან ისეც მოხდება ხოლმე, რომ პრისტავი წაბძანებულა სადმე—დუშეთში ან ქალაქში და საცოდავს გლეხს უბრალოთ შერჩება სიარული. დაღონებული, შეწუხებული გლეხი წაიტუტუნებს თავისათვინ რასმე, ჩამოიჩაჩამს ქუდს თვალებზედ და შეუდგება აღმართებს, უკანვე 55 ვერსი უნდა გაიაროს.

ასე უნაყოფოთ მოქირავეს, ბევრჯელ ორჯერ-სამჯერ მოუხდება გადასვლა-გადმოსვლა ჯერ მარტო ბილეთისათვის. ახლა ამასთან წარმოიდგინეთ, თუ ცივს ყინვიან ზამთარშიაც მოუხდა იმას სიარული; იმისთანა ცივ ზამთარში, როდესაც ყინვა 40 გრადუსამდინადის. ესევე ხათაბალა უნდება მოხევეს, როდესაც შეშაზედ ან პურზედ მიდის, ან საქონელი, ან ცხვარი მიჰყავს საკვებავათ ჩიჩენში.

ამ წვალებაშია, მაგრამ ვინ არის პატრონი? ვინ ამოიღებს იმისათვის ხმას? მე ვგონებ ბ. პრისტავისთვის ძნელი არ იყოს მიხვედრა, თუ რა რიგათ ძნელია მოხევისათვის ქვეშეთს ბილეთისათვის სიარული, ნამეტნავათ ზამთარში და ძალიან ადვილათ შეიძლებოდა მამასახლისებისათვის მიეცა რამდენიმე ხელ-მოწერილი ბილეთები, რომ ხალხს ტყუილ-უბრალოთ სიარული არ დაჭირებოდა იმასთან და მიეღოთ ბილეთები თავიანთ მამასახლისებისაგან, ნუ თუ ისიც ვერ წარმოუდგენია ამ ჩინებულს რიგის მიმცემს, რომ ხანდისხან მოხევეებს ლუკმა-პური არ უძევთ შინ, შეშა არ მოეპოებათ სახლში და ბილეთისათვის გადასვლა მთაზედ ყოვლათ-შეუძლებელი ხდება ზვავებისა და ჩუმქრის *) გამოისობით, რომლებიც მთელი თვეობით შეჰკრავენ ხოლმე გზას!! ესმის და ძალიან კარგათაც ესმის,—ეს როგორ არ ეცოდინება იმ კაცს, ვინც მთაში ოც წლამდისინ მსახურებს და თხუთმეტ წლამდისინ დიამბეგობს და პრისტაობს ამ ადგილებში,—მაგრამ იმას რა ენაღვლება: ოღონდ თითონ იყოს განსვენებაში და იმის გარეთ თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩება...

— რათ არიან ჩუმათ მოხევეები, რათ არა ჩივიან, თუ მართლა ეგეთი შეწუხება აღგასთ?—იკითხამს მკითხველი. მაგაზედ მე უპასუხებ მოხევეებისაგან ანდაზათ გადაკეთებული სიტყვებით, რომელიც ყველაზედ უკეთესათ დაგანახვებსთ იმათ მდგომარეობას ამ შემთხვევაში:

— **Богъ высоко, Царь далеко!.. Куда поидемъ? Кому скажемъ? Туда поидемъ—горы, сюда поидемъ—горы.**

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ხევში მამასახლისები ბეჭდის დაკვრისათვის 50 კაპეიკიდგან ერთს მანეთამდინ იღებენ.

ავტ.

*) ჩუმქარი ისეთი ქარია, რომელსაც მოაქვს თოვლი დედამიწიდგან აღებული და ტრიალით გარშემო აურის მგზავრს იქამდინ, სანამ სრულებით არ დამარხავს თოვლში.

ავტ.

ანობისა, ვიდრე მმართებლობის წევრნი. ჟველა მაჰმადიანნი შიშით მოელიან ომიანობასა.

—

კიოლნის პარიჟიდამ სწერენ, რომ აქაური საზოგადოება წინააღმდეგი არის აღმოსავლეთის საქმეში საფრანგეთისაგან მონაწილეობის მიღებისა.

—

ინგლისის ქვემო პალატს სხდომის დროს, 23 ივლისს, დეპუტატს ბრიუსს პალატის ყურადღება მიუქცევია მცირე აზიის და სომხეთის საქმეებზე და ბერლინის ტრაქტატის 61 მუხლზე. ჩარლზ დილკეს ამის პასუხად, სხვათა შორის უთქვამს, ამ მხარეების საქმე უთუოდ უფრო ცუდი უნდა იყოს, ვიდრე ოსმალეთის სხვა რომელიმე ოლქისა. ინგლისის მმართებლობამ ამ საქმეების თაობაზე უეჭველი თანხმობა ჩამოაგდოვო ევროპის სახელმწიფოთა შორის. მართალია. ოსმალეთი დაჰპირდა ევროპასა რომ იგი გააუმჯობესებს მცირე აზიის და სომხეთის საქმეებს; მაგრამ ინგლისი მარტო ამ დაპირებას არ დაჯერდებაო, თუმცა ჯერ არ შეიძლება ითქვას რა ღონის-ძიებას იხმარს იგი ამ საქმეთა სათანადოთ გადაწყვეტისათვის. რაც უნდა იყოს, სთქვა დასასრულს დილკმა ინგლისი სხვა სახელმწიფოებთან შეუთანხმებლათ არაფერს იქმს აღმოსავლეთის საქმეშიო.

—

პარიჟში გადაცვლილა გამოჩენილი ფინანსისტი ისაკ პერეირა, რომელსაც ორმოცდა თორმეტი მილიონი ფრანკის ქონება დაუტოვებია. მიცვალებულს დარჩენია ცოლი და სამი ვაჟი ანდერძით ცოლს რგებია 32,500,000 ფრ. და თითო ვაჟს—6,500,000 ფრანკი.

—

ინგლისურს გაზეთებში სწერენ: ლორდი ჰარტინგტონი ამ დღეებში ინახულეს ინდოებმა, რომელთაც წერილით მოახსენეს მას თუ რა ნაირი ცვლილებანია საჭირონი ინდოეთის გამგეობის კანონებში, რომ ამ ქვეყნის საქმე უფრო კარგად წავიდეს. სხვათა შორის გამოთქმული იყო სურვილი რომ ინდოთა მონაწილეობა მისცენ მათი ქვეყნის გამგეობაში. ჰარტინგტონს შეუწყნარებია ეს ყოვლად კანონიერი თხოვნა და უპასუხებია, რომ თქვენი სურვილი გულდასმით იქმნება გარკვეულიო.

—

ჰავასის სააგენტოს პარიჟში დაუბეჭდვინებია სქემა, რომლიდამაც სჩანს, რომ რესპუბლიკის დადგენის დღიდამ საფრანგეთში საერო გადასახადი შემცირებულა 307,000,297 (სამას შვიდი მილლიონი ორას ოთხმოც-და-ჩვიდმეტის) ფრანკით.

# განცხადებანი

—

ვტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღებელი 5,000 **კარგი მშრალი ფიცარი ფიჭვისა** და **ნაძვისა** $1^1/_2$ ვერშოკიდამ 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ვყიდი ამ ტყის მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს ბუჭყიევს, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

თუ მსურველი აღმოჩნდება და ყველა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5% დაუთმობ.

აქვე იყიდება გერცკალური ხეების გადასატანად.

(3—2).

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIENNES*'-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აფეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოს; სახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე შჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალლისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—37)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

---

**პატენტიანი შჩოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—28)

---

**მურაბა** გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ქურქლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—24)

---

დაბოლოებითი

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის **ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში.** ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პარუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან არის.

(10—8)

---

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო

# თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შინაარსი:

I. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. IV მ... სადმი (ლექსი) გ—სა. V. ფერი ფერს— მადლი ღმერთს სა... მიძღვნილი კომედია ცვლილ... ჭიჭინაძისაგან. VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. VII ხასიათის გაცვლა, სამუელ სმაილსისა VIII უცოლავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—21)

---

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მანეთად ღირს.

(100—19)

---

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—24)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

# ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი